საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო“-ს
დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 10

05 თებერვალი 2013 წელი

ქ.თბილისი

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს” საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად თამარ მემანიშვილის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 36-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №225\ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ დებულების მე-3 მუხლის 1-ლი, მე-3 პუნქტების, მე-5 პუნქტის ,,ა”, ,,ლ” და ,,ნ” ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაინიშნოს სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს” იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი - თამარ მემანიშვილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად.
2. დაევალოს სააგენტოს კანცელარიის უფროსის დროებითი მოვალეობის შემსრულებელს, ირმა ხუფენიას წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის. ქ.თბილისი დ.უზნაძის ქ.№52) ან/და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (დ.აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ №6).

დირექტორი თამარ სანიკიძე